

რელიგიური
ორგანიზაციებისა
და სასულიერო პირების
წინასწარჩევნო პროცესში
მონაწილეობის
მონიტორინგი



საბოლოო
ანგარიში



2021



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი



ანგარიში მომზადდა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) მიერ, პროექტის „გავლენებისგან თავისუფალი არჩევნების მხარდასაჭერად“ ფარგლებში, რომელიც „ლია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით განხორციელდა.

ანგარიშში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა „ლია საზოგადოების ფონდის“ ოფიციალურ მოსაზრებად.



სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. მონიტორინგის ძირითადი მიზნებები.....	4
3. მეთოდოლოგიური ჩარჩო	5
4. სამართლებრივი ჩარჩო.....	6
5. მღვდელმსახურთა ჩართულობა საარჩევნო პროცესებში, რომორც წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკა	9
6. წინასაარჩევნოდ არსებული პოლიტიკური კონტექსტი	12
7. სასულიერო პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში	15
7.1 დასწრება საარჩევნო ღონისძიებებზე.....	15
7.2 საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერი/საწინააღმდეგო განცხადებები	17
8. საარჩევნო სუბიექტების მიერ რელიგიური თემატიკის, რელიგიური ორგანიზაციებისა და სასულიერო პირების გამოყენების ფაქტები	19
ვის უფრო მეტი „ღვაწლი“ მიუძღვის ქართული ეკლესიის წინაშე?.....	19
„ქართული ოცნება“	21
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	22
„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	23
„ლელო საქართველოსთვის“	24
9. დასკვნა	24
10. რეკომენდაციები.....	26

1. შესავალი

ანგარიში მომზადებულია პროექტის „გავლენებისგან თავისუფალი არჩევნების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. პროექტის მიზანს წარმოადგენდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის თავისუფალი წინასაარჩევნო გარემოს მხარდაჭერა, პოლიტიკური სუბიექტების მიერ რელიგიით მანიპულაციის, მღვდელმსახურებისა და რელიგიური ორგანიზაციების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ფაქტების იდენტიფიცირების, ანალიზის, არსებული რისკების გამოვლენისა და გასაჯაროების გზით.

მოქმედი კანონმდებლობით, წინასაარჩევნო კამპანია არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე იწყება.¹ რელიგიურ ორგანიზაციებს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება სწორედ ამ დროიდან ეკრძალებათ. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად 3 აგვისტოდან დაიწყო.

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2021 წლის აგვისტოდან, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის შემდგომი პერიოდის ჩათვლით, საარჩევნო პროცესებში მღვდელმსახურთა ჩართულობაზე დაკვირვების საბოლოო განზოგადებულ შედეგებს. წინასაარჩევნო კამპანიაში სასულიერო პირების მონაწილეობის და საარჩევნო სუბიექტების მიერ რელიგიური თემატიკით მართლმადიდებელი ეკლესიისა და მღვდელმსახურთა გავლენებით მანიპულირების ფაქტები ასახულია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ საარჩევნო პროცესებზე დაკვირვების პირველ და მეორე შუალედურ ანგარიშებში.² წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია 2021 წლის არჩევნების დღემდე რამდენიმე კვირით ადრე, სავარაუდოდ უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების გასაჯაროებით და მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებით გამოწვეული მღვდელმსახურებისა და პოლიტიკური სუბიექტების შეცვლილი რიტორიკა. ასევე, აქცენტი გაკეთებულია იმ საკითხებზე, რომლებსაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე და, რამაც, შორეულ პერსპექტივაში, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა მოახდინოს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე.

¹ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45, პუნქტი 1

² დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2021, რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგი, პირველი შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.democracyresearch.org/geo/760>; დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2021, რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგი, მეორე შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.democracyresearch.org/geo/770>

მონიტორინგის განხორციელებისას დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვების ობიექტები იყვნენ როგორც წმინდა სინოდის წევრები (წოდებებიდან და გავლენებიდან გამომდინარე), ასევე საარჩევნო სუბიექტები (მეინსტრიმული პოლიტიკური პარტიები: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და „გახარია საქართველოსთვის“). გარდა ამისა, ჩვენი დაკვირვების არეალში ხვდებოდნენ ის სასულიერო პირებიც, რომლებიც საზოგადოების ნაწილში ავტორიტეტით სარგებლობენ და, შესაბამისად, შეუძლიათ ამომრჩევლის განწყობაზე გავლენის მოხდენა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მონიტორინგმა ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში, როგორც კონკრეტული სასულიერო პირები, ისე უშუალოდ საარჩევნო სუბიექტები და სხვა პოლიტიკური ფიგურები, ეკლესიის ავტორიტეტსა და რეპუტაციას კერძო, პირადი მიზნებისთვის იყენებენ.

2. მონიტორინგის ძირითადი მიზნები

რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის ფაქტებზე დაკვირვების პროცესში გამოიკვეთა სამი მნიშვნელოვანი მიზნება.

პირველი, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მმართველი პოლიტიკური ძალა და საქართველოს საპატრიარქო, რომელიც მაღალი რანგის სასულიერო პირებითაა წარმოდგენილი, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ, რაც გამოიხატებოდა შემდეგში:

- სასულიერო პირები სახელისუფლებო პარტიის მიერ საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი მერის კანდიდატების წარდგენის ყველა ღონისძიებას ესწრებოდნენ;
- წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მმართველი პარტიის ლიდერებმა, პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ეკლესია-მონასტრები „მოილოცეს“, რაც გასული წლებისგან განსხვავებულ პრაქტიკას წარმოადგენდა
- მღვდელმთავრები სოციალურ მედიაში ავრცელებდნენ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხრადამჭერ/საწინააღმდეგო განცხადებებს.

მეორე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლამ და მისი დაპატიმრება-გათავისუფლების საკითხმა სასულიერო პირებს შორის აზრთა მკაფიო სხვადასხვაობა გამოიწვია და გაამყარა აქამდე არსებული მოსაზრებები,

რომ ღვთისმსახურები ძალაუფლების შესანარჩუნებლად თანამშრომლობენ პოლიტიკურ სუბიექტებთან.

მესამე, გამოიკვეთა მორალური და ზნეობრივი საკითხებით მანიპულირების მცდელობა საარჩევნო სუბიექტების მხრიდან, რაც პირდაპირ კავშირშია ეკლესიის და რელიგიის „გამოყენების“ პრაქტიკასთან. საანგარიშო პერიოდში გავრცელდა სავარაუდოდ უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერები, რომლითაც გამყარდა არსებული ეჭვები, რომ მიმდინარეობს სასულიერო პირების მიყურადება და კონტროლი, რაც კონკრეტული პოლიტიკური ძალის ხელში სასულიერო პირებით მანიპულირების შესაძლებლობაა.

3. მეთოდოლოგიური ჩარჩო

წინასაარჩევნო გარემოზე დაკვირვების მიზნით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა განახორციელა სოციალური მედიის მონიტორინგი. დაკვირვების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სასულიერო პირები და რელიგიური ორგანიზაციები, ასევე, საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებდნენ.

კვლევა ფოკუსირებული იყო სასულიერო პირების მიერ გაკეთებულ პოლიტიკური შინაარსის განცხადებებზე. მონიტორინგის არეალში მოხვდა რელიგიური ორგანიზაციების, მღვდელმთავრების, სასულიერო პირებისა და პოლიტიკური სუბიექტების მხოლოდ ის აქტივობები, რომლებიც სოციალური ქსელების და მედიით გაშუქდა. მონიტორინგისას სოციალურ მედიაში მომხმარებლების მიერ შექმნილი ვიდეოები, სურათები, რეაქციები და ტექსტები წარმოადგენდა თვისებრივი კვლევის მონაცემების მდიდარ წყაროს.

მონიტორინგისას შეფასდა:

- სასულიერო პირების პოლიტიკური შინაარსის განცხადებები;
- სასულიერო პირების წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობა და ჩართულობა;
- სასულიერო პირების მხრიდან ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები;
- პოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულება სასულიერო პირების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობასთან;
- პოლიტიკური სუბიექტების მიერ რელიგიური თემატიკით მანიპულირების მცდელობები.

4. სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში საჯარო სამართლის იურიდიულ პირად შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.³ ეკლესია⁴ წარმოადგენს ისეთ რელიგიურ ორგანიზაციას, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადოებასთან და სახელმწიფოსგან სრულიად განსხვავებული მიზნები გააჩნია.⁵ კონსტიტუციის მე-8 მუხლით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში, თუმცა, ამავე დროს, ხაზგასმულია მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან.

არჩევნები არის დემოკრატიის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება, რომელიც თავისუფალ გარემოში უნდა ჩატარდეს. მოქმედი კანონმდებლობა არ გამოირიცხავს რელიგიური ორგანიზაციების მხრიდან ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას და საფრთხის აღმოსაფხვრელად შეზღუდვებსაც აწესებს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწვევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს რელიგიურ ორგანიზაციას.⁶ აგიტაციას წარმოადგენს არა მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ გაკეთებული აქტიური მოწოდება, არამედ გარკვეული ქმედებაც.⁷ შესაბამისად, აგიტაციად შეიძლება ჩაითვალოს მღვდელმსახურთა დასწრება საარჩევნო ღონისძიებებზე. აგიტაციის წესების დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმა 2000 ლარს შეადგენს⁸, თუმცა პრაქტიკაში ეს დანაწესი, როგორც წესი, არ გამოიყენება. ამის მიზეზს, შესაძლოა, ნორმის განმარტების სირთულეც წარმოადგენდეს.

ფორმალური თვალსაზრისით მღვდელმსახურები (მიუხედავად მათი ავტორიტეტის და გავლენის ხარისხისა) გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ და მათ აკრძალული არა

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1509¹

⁴ „ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით); ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.“ საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, მუხლი 1, პუნქტი 4

⁵ დ.გეგენავა, „კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში,“ 2016, გვ.19-20, ხელმისაწვდომია ონლაინ http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/dimitri_gegenava.pdf

⁶ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45, პუნქტი 4, ქვეპუნქტი ზ

⁷ იქვე, მუხლი 2, ქვეპუნქტი 3¹

⁸ იქვე, მუხლი 79

აქვთ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. საკანონმდებლო აკრძალვა მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციებსა და მათ ოფიციალურ წარმომადგენლებზე ვრცელდება. თუმცა ამგვარი განმარტება ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლის მიზნის მიღწევას და თავისუფალი საარჩევნო გარემოს შექმნას. სწორედ ამიტომ, ნორმის განმარტებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- სუბიექტი (რამდენად მაღალია მისი ავტორიტეტი);
- ქმედების შინაარსი (საქმე უნდა გვქონდეს ისეთი ქცევასთან, რომელიც აგიტაციას წარმოადგენს);
- ვითარება (იმისათვის, რომ დადგინდეს, კონკრეტული სასულიერო პირი მოქმედებს, როგორც რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი, თუ როგორც სამოქალაქო პირი).⁹

საგადასახადო შეღავათები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით რელიგიური ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევა ითვლება საქველმოქმედო საქმიანობად.¹⁰ ამასთან, საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.¹¹ კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით კი, ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია, ისევე, როგორც მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულება, ასევე, არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.¹²

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით.¹³ შესაბამისად, კონსტიტუციური შეთანხმების ზემოთ აღნიშნული ნორმა, პრივილეგიებულ მდგომარეობაში აყენებს მართლმადიდებელ ეკლესიას და საპატრიარქოს, მაშინ, როდესაც დღგ-ის, ქონების და იმპორტის გადასახადით ჩვეულებრივად იბეგრება სხვა რელიგიური ორგანიზაციები.¹⁴ საგადასახადო კოდექსის ეს ნორმები გასაჩივრებელია საქართველოს

⁹ ბ.ლოლაძე, „რელიგიური ორგანიზაციები და არჩევნები“, 2020, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.democracyresearch.org/geo/467>

¹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 10, ნაწილი 1, ქვეპუნქტი ა.დ)

¹¹ იქვე, მუხლი 99, ნაწილი 1, ქვეპუნქტი დ)

¹² კონსტიტუციური შეთანხმება, მუხლი 6, პუნქტი 5

¹³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 1

¹⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 159-ე და 195-ე მუხლები

საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს კონსტიტუციის მე-11 და მე-16 მუხლებთან მიმართებით.¹⁵

ვარაუდს, რომ ხელისუფლებას საპატრიარქოსთვის პრივილეგიების და სხვა რელიგიური კონფესიებისთვის ხელმიუწვდომელი უპირატესობების მინიჭება სწორედ მათი ავტორიტეტისა და გავლენების გამო სჭირდება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს, წინასაარჩევნო პროცესებზე დაკვირვება ამყარებს.

წმინდა სინოდის განჩინება

სინოდი მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სათათბირო ორგანოა, რომლის შეკრების გადაწყვეტილებასაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ან მისი თანამოსაყდრე წყვეტს. სინოდის კომპეტენციაში შედის განჩინებების მიღება.

2012 წლის 5 ივლისს წმინდა სინოდმა მიიღო განჩინება¹⁶ სასულიერო პირების წინასაარჩევნო კამპანიაში და, ზოგადად, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევასთან დაკავშირებით. განჩინების მიხედვით, ეკლესია წარმოადგენს ქვეყნის გამაერთიანებელ, ნეიტრალურ ძალას და განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში „კატეგორიულად მიუღებელია“ ღვთისმსახურთა მონაწილეობა რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში.

შესაბამისად, კანონიკური სამართალი სასულიერო პირებს სრულიად გარკვევით უზღუდავს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას, საერო სამართალი კი შეზღუდვებს უდგენს რელიგიურ ორგანიზაციებს. ამით აღიარებულია იმ უარყოფითი შედეგების გამოწვევის შესაძლებლობა, რაც შეიძლება ამ წესების დარღვევამ მოიტანოს.

მიუხედავად ამისა, მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული შეღავათები მხოლოდ ერთი რელიგიური ინსტიტუტის სასარგებლოდ შეიძლება შეფასდეს პოლიტიკური ძალის მხრიდან ეკლესიის გავლენის გამოყენების კარგ ინსტრუმენტად.

¹⁵ სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. N1422, 2019 წლის 7 მაისი; <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1430>

სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“ და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; N1593, 2021 წლის 16 აპრილი; <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11126>

¹⁶ „სვეტიცხოველი“, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი, ხელმისაწვდომია https://gtu.ge/Library/Pdf/sveticxoveli_2_2012.pdf 2012 N 2, 11

5. მღვდელმსახურთა ჩართულობა საარჩევნო პროცესებში, როგორც წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკა

სასულიერო პირების წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიური ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრებისა და განცხადებების გაკეთების გზით, სიახლეს არ წარმოადგენს. ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან აქტიურად ცდილობდნენ ეკლესიის წარმომადგენელთა კეთილგანწყობის მოპოვებას, რასაც მოწმობს 2002 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების შინაარსიც.

მკვლევრების მოსაზრებით, ეკლესიის წარმომადგენლები განსაკუთრებით გააქტიურდნენ 1990-იანი წლებიდან, რაც პოლიტიკურ პროცესებში მათ ჩართვაში გამოიხატებოდა, იმის მიუხედავად, რომ 1991 წელს სინოდმა სასულიერო პირების პოლიტიკური პროცესებისაგან დისტანცირების თაობაზე 2012 წლის განჩინების ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო.¹⁷

მაგალითად, 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს საგურამოს წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძრის გალავანზე განთავსებული იყო პარტია „ქართული ოცნების“ დროშა, რასაც ადასტურებდა როგორც ფოტომასალა, ისე, თავად სასულიერო პირთა განცხადებები. 2014 წელს წინასაარჩევნო აგიტაცია იმ დროს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა იაკობმა ჩაატარა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ქორეპისკოპოსი ეკლესიას წარმოდგენს, საქართველოს საარჩევნო კოდექსი კი რელიგიურ ორგანიზაციებს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას და აგიტაციაში მონაწილეობას უკრძალავს. ყოფილი ქორეპისკოპოსი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდშიც გამოირჩეოდა პოლიტიკური განცხადებებით. მაგალითად, 2020 წლის 19 აგვისტოს, ქადაგებისას, მან მრევლს არჩევნებში „სწორი არჩევანის“ გაკეთებისკენ მოუწოდა.¹⁸ ანალოგიურად, 2018 წელს მეუფე პეტრემ ქადაგების დროს ღიად მოუწოდა მრევლს, საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარი არ დაეჭირათ სალომე ზურაბიშვილისთვის, რადგან მისი მხარდაჭერა „ცოდვის ტოლფასი“ იქნებოდა.

სასულიერო პირების და პოლიტიკური სუბიექტების ინტერესი

როდესაც ვლადპარაკობთ სასულიერო პირების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის წლების განმავლობაში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკაზე, საინტერესოა, რით შეიძლება იყოს განპირობებული სასულიერო პირების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის ინტერესი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების დაინტერესება ეკლესიით, როგორც

¹⁷ batumelebi.netgazeti.ge (ვებგვერდი) „ეპისკოპოსების როლი არჩევნებში - ინტერვიუ ბექა მინდიაშვილთან,“ <https://batumelebi.netgazeti.ge/news/160319/>

¹⁸ იხ. <https://netgazeti.ge/news/480304/>

განუსაზღვრელი სოციალური კაპიტალის მქონე ინსტიტუტით, მიზნად ისახავს საზოგადოების დიდი ნაწილის კეთილგანწყობის მოპოვებას. ხოლო თავად მღვდელმსახურთა ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობასა და წინასაარჩევნო პროცესებში შეიძლება მათი „ეკონომიკური ინტერესიდან“ მომდინარეობდეს.¹⁹ ამ ვარაუდს რამდენიმე ფაქტორი ამყარებს:

2002 წლის კონსტიტუციური შეთანხმება ეკლესიისთვის, როგორც რელიგიური ორგანიზაციისთვის, მთელი რიგი პრივილეგიების მინიჭებას ითვალისწინებს. ამ შეთანხმებით, სახელმწიფომ დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მიყენებული როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციის ვალდებულება აიღო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხელისუფლების მხრიდან საპატრიარქოს დაფინანსება ცალსახად იზრდებოდა.²⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიხედვით, 2002–2013 წლებში, საქართველოს ხელისუფლების მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის გამოყოფილი თანხა 200 მილიონამდე ლარს შეადგენს, ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტიდან კი დროის ამავე მონაკვეთში საპატრიარქოსთვის 16 მილიონ ლარამდე გამოიყო.²¹ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით, ისევე როგორც წინა წლებში, საპატრიარქოს დაფინანსებისთვის 25 მილიონი ლარია გათვალისწინებული.²²

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრის დროს დარგის ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ, გარდა ზემოთ აღნიშნული დაფინანსებისა, ადგილობრივი ეპარქიები მუნიციპალიტეტებიდან დამატებით ფინანსურ სარგებელს იღებენ. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციით დასტურდება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტში გამოყოფილია დამატებითი ფინანსური სახსრები რელიგიური საქმიანობისთვის, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების, ისე საკუთარი შემოსავლების სახით.²³

ფინანსური მხარდაჭერა საპატრიარქოს მმართველ პოლიტიკურ ძალასთან მჭიდრო თანამშრომლობის ინტერესს უჩენს. თავის მხრივ, ეკლესიის ავტორიტეტიდან და სოციალური კაპიტალიდან გამომდინარე, ხელისუფლება ცდილობს, მატერიალური უზრუნველ-

¹⁹ batumelebi.netgazeti.ge (ვებგვერდი) „ეპისკოპოსების როლი არჩევნებში - ინტერვიუ ბექა მინდიაშვილთან“ - <https://batumelebi.netgazeti.ge/news/160319/>

²⁰ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, მოკლე მიმოხილვა საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების შესახებ, 04.07.2013, <https://transparency.ge/ge/blog/mokle-mimokhilva-sakartvelos-sapatrarkos-dapinansebis-shesakheb>

²¹ იქვე

²² Mof.ge (ვებგვერდი), საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, <https://www.mof.ge/5477>

²³ იხ. მაგ., სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5225961?publication=0>

ყოფით მოიპოვოს რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელთა მხარდაჭერა. ორმხრივად ხელსაყრელი პრაგმატული ურთიერთდამოკიდებულება კი ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთშეზღუდვის მანკიერ პრაქტიკას ასაზრდოებს.



„ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენა შიდა ქართლში

2003 წლის 23 ნოემბრის რევოლუციამდე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ღიად უჭერდა მხარს ედუარდ შევარდნაძეს, თუმცა 22 ნოემბერს, მე-5 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომას იგი არ დაესწრო, რაც, დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამონაკლისს წარმოადგენდა.²⁴ ეს შეიძლება იყოს კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საპატრიარქო ცდილობს, მოიპოვოს იმ ძალის კეთილგანწყობა, რომელიც ფლობს ხელისუფლების სადავეებს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იმავე საფუძვლით არ მიულოცა საპატრიარქომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დასრულებისა და ცესკოს მიერ საბოლოო შედეგების ოფიციალურად გაცნობის შემდეგაც მმართველ პარტიას არჩევნებში გამარჯვება (იმის გათვალის-

²⁴ Radiotavisupleba.ge (ვებგვერდი), პირველი დღის უფლება, 09.12.2020, <https://www.radiotavisupleba.ge/>

წინებით, რომ საპატრიარქო ყოველთვის ულოცავს არჩევნებში გამარჯვებულ ძალას²⁵).²⁶ პოლიტიკური დაძაბულობისა და საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენებით, ცნობილი არ იყო, როგორ განვითარდებოდა პროცესები.

თავის მხრივ, ეკლესიის ავტორიტეტიდან გამომდინარე, ხელისუფლება ცდილობს, მატერიალური უზრუნველყოფით მოიპოვოს რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელთა მხარდაჭერა. 2021 წლის კვლევის მიხედვით, მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ ინარჩუნებს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტის სახელს, ხოლო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ნდობით აღჭურვილ და პატივსაცემ ადამიანებს შორის პირველ ადგილზეა.²⁷

6. წინასაარჩევნოდ არსებული პოლიტიკური კონტექსტი

ნებისმიერი ჯგუფისა თუ ინდივიდის ქცევის წინაპირობა, შესაძლოა, იყოს ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები. დაკვირვებისას ნათელი გახდა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, კონკრეტულ მღვდელმსახურთა ჩართულობა და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები, ისევე, როგორც პოლიტიკური სუბიექტების დამოკიდებულება სასულიერო პირების მიმართ, ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობის მიხედვით იცვლებოდა.

ავგისტოში სასულიერო პირები და საარჩევნო სუბიექტები გასულ წლებში დამკვიდრებულ პრაქტიკას არ ღალატობდნენ. პოლიტიკური პარტიების თუ ცალკეულ კანდიდატთა მხრიდან წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, სასულიერო პირებით და რელიგიური თემატიკით მანიპულირების არაერთი შემთხვევა გამოვლინდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მმართველი პოლიტიკური გუნდი.

²⁵ მაგალითად, 2018 წლის ნოემბერში, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვება სალომე ზურაბიშვილს მეორე დღესვე მიულოცა, როცა არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად შეჯამებული; პატრიარქმა ბიძინა ივანიშვილს გამარჯვება მიულოცა 2012 წლის 5 ოქტომბერსაც, არჩევნებიდან მე-4 დღეს, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების საბოლოო შედეგები ცესკოს მიერ ჯერ არ იყო გამოქვეყნებული.

²⁶ Democracyresearch.org (ვებგვერდი), „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მხარდასაჭერად“, მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში, 2020, გვ. 6 <http://www.democracyresearch.org/>

²⁷ Public Opinion Survey: Residents of Georgia, February 2021, p. 56 – 57, ხელმისაწვდომია ონლაინ https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_february_2021_1.pdf

სასულიერო პირებზე ფარული ჩანაწერების გავრცელება

სასულიერო პირებისა და საარჩევნო სუბიექტების ჩვეული რიტორიკა სექტემბრის მეორე ნახევარში საგრძნობლად შეიცვალა. ეს ძირითადად განპირობებული იყო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე სავარაუდოდ უკანონოდ მოპოვებული და გავრცელებული ფარული ჩანაწერების გასაჯაროებით. გავრცელებული ფაილებით დადგინდა, რომ, სავარაუდოდ უკანონო მიყურადება და თვალთვალი ხორციელდება თითქმის ყველა რანგის სასულიერო პირზე. ხელისუფლების მიერ ყველა რანგის სასულიერო პირის უკანონო მოსმენა/თვალთვალი, სავარაუდოდ, გამოწვეულია სწორედ მათი ავტორიტეტითა და გავლენის მაღალი ხარისხით. გასული წლების პრაქტიკა მოწმობს, რომ ეკლესია, როგორც გავლენიანი საჯარო ინსტიტუტი, პოლიტიკურ ცხოვრებაში ხშირად ასრულებს გადამწყვეტ როლს. ამიტომ მმართველი ძალისთვის სასულიერო პირების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შეგროვება (განსაკუთრებით პირადი და ინტიმური ცხოვრების შესახებ) წინასაარჩევნოდ მღვდელმსახურებით მანიპულირების მნიშვნელოვანი იარაღი იქნებოდა.

თავდაპირველი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ე.წ. კრებსების გასაჯაროების შემდეგ, მღვდელმსახურთა რიტორიკა შედარებით ხისტი, მკაცრი და მუქარის შემცველი გახდა, მაგრამ არა ხელისუფლების მიმართ. ამის ნათელი მაგალითია საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ანდრია ჯაღმაიძის განცხადება, როდესაც მან ოპოზიციურ მედიას მიმართა:

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ანდრია ჯაღმაიძე

„ნამდვილად გინდათ, რომ ეკლესიამ ყველაფერი ილაპარაკოს და წინასაარჩევნოდ ნამდვილად გინდათ, რომ თავის მრევლს ყველაფერი დაუღუპოს და უთხრას, რასაც თქვენ შესახებ ვფიქრობთ? აი, შევხედავთ რამდენიმე დღე, კიდევ დავაკვირდებით, რა რიტორიკა იქნება, რა პათოსი იქნება და, შესაძლებელია, რომ ამის მერე არავის აღარ უკვირდეს, თუ ეკლესია მკაფიოდ ეტყვის თავის მრევლს, რა გააკეთოს მან არჩევნებზე.“²⁸

ამ განცხადებით დასტურდება სასულიერო პირების განწყობა, რომ ისინი ფლობენ მრევლზე (შესაბამისად, ამომრჩეველზე) ზემოქმედების მექანიზმებს.

საქართველოს პატრიარქმა სუს-ის მასალები ორი კვირის დავიანებით შეაფასა. განცხადების ძირითად ნაწილში გამეორდა სასულიერო პირების რიტორიკა. პატრიარქმაც, სხვა მღვდელმთავრების მსგავსად, „სუს-ის მასალებში“ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მედიის მუშაობა დაინახა და ცალკეულ ტელევიზიებს მასალების გავრცელების გამო ორმაგ სტანდარტებში დასდო ბრალი. პატრიარქის შეფასებით, „იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად ხდებოდა მღვდელმსახურთა უკანონო თვალთვალი და მოსმენები“, აღნიშნული ქმედება საფრთხეს უქმნიდა მღვდლისა და მრევლის კომუნიკაციას და მკაცრად უნდა დასჯილიყვნენ არა მხოლოდ უკანონო თვალთვალის, არამედ მასალის გავრცელებისთვისაც.²⁹

მიხეილ სააკაშვილის დაბრუნება

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც პოლიტიკურ პროცესებში მღვდელმთავართა კიდევ უფრო ინტენსიური ჩართვა გამოიწვია, იყო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში გამოჩენა და მისი შემდგომი დაპატიმრება. ამ ფაქტორმა ასევე გაზარდა პოლიტიკური ლიდერების მხრიდან ეკლესიისადმი ერთგულების დემონსტრირების შემთხვევათა სიხშირე. ამასთან, თვალსაჩინო გახდა პოლიტიკოსების მხრიდან ეკლესიის სასარგებლოდ პოზიციების შეცვლაც.

პოლიტიკური პარტიების ლიდერების გააქტიურება და ეკლესიისადმი ერთგულების დამტკიცების მცდელობა, დიდი ალბათობით, საპატრიარქოს მიმხრობის სურვილით იყო განპირობებული. საქართველოს მესამე პრეზიდენტის ქვეყანაში დაბრუნებამ, პოლიტიკური დამაბულობის ფონზე, საარჩევნო სუბიექტებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა „ძლიერი მოკავშირის“ არსებობა. მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური სუბიექტები ხშირ შემთხვევაში, დადებით განწყობას გამოხატავდნენ სწორედ საქართველოს პატრიარქის, ილია

²⁸ „შაბათის ფორმულა“ (ფეისბუქგვერდი)

<https://www.facebook.com/watch/?v=352333906620925&ref=sharing>

²⁹ საქართველოს საპატრიარქოს განცხადება, 29.09.2021, ხელმისაწვდომია

<https://patriarchate.ge/news/2837> [ბოლოს ნანახია: 10.11.2021].

მეორის მიმართ,³⁰ რომელიც, არაერთი კვლევის მიხედვით, ნდობით აღჭურვილ და პატივსაცემ ადამიანებს შორის პირველ ადგილს იკავებს.³¹

7. სასულიერო პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში

საარჩევნო სუბიექტების რელიგიური მიკუთვნებულობა გავლენას ახდენს არჩევნებზე და სახალხო მობილიზებაზე. შესაბამისად, ეკლესია იქცა ძლიერ ინსტიტუციურ მოთამაშედ, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. შედეგად, ეკლესიის ძალაუფლება პოლიტიკურ კონტექსტში წარმოჩნდა, როგორც ბუნებრივი რელიგიური მონოპოლია.

2021 წლის საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებზე კიდევ უფრო აშკარა გახდა, თუ როგორ ითამაშა ეკლესიამ ცენტრალური როლი წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების დაპირისპირებაში. ამრიგად, ურთიერთობა ორმხრივია: რელიგია გავლენას ახდენს პოლიტიკურ დამოკიდებულებებსა და ინსტიტუტებზე, ხოლო პოლიტიკა გავლენას ახდენს რელიგიურ პრაქტიკასა და პოლიტიკურ საქმიანობაზე. მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს იდეა საერთო კეთილდღეობისა, რომლის საშუალებითაც კონკრეტული ინსტიტუტები და თავად პიროვნებები იმორჩილებენ ადამიანთა განწყობებს. მმართველი ორგანოები კონკრეტულ უფლებებს ანიჭებენ რელიგიურ ორგანიზაციებს და, ამავე დროს, აკისრებენ ვალდებულებებს, ქმნიან სახელმწიფოებრივ მთლიანობას და, შესაბამისად, აწარმოებენ და ავრცელებენ ძალაუფლებას ინდივიდების დონეზე. სასულიერო პირების მხრიდან პოლიტიკური შინაარსის განცხადებები პირდაპირ თუ ირიბად მიანიშნებს საზოგადოებას, თუ როგორ და რა ფორმით იმოქმედოს.

7.1 დასწრება საარჩევნო ღონისძიებებზე

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დააკვირდა მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა დასწრებას საარჩევნო სუბიექტების წარდგენის პროცესში. სასულიერო პირები ორი

³⁰ მიხეილ სააკაშვილი, ფეისბუქგვერდი, 20.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/SaakashviliMikheil/posts/413811506781119>

³¹ Public Opinion Survey: Residents of Georgia, February 2021, p. 56 – 57, ხელმისაწვდომია https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_february_2021_1.pdf

პოლიტიკური პარტიის - „ქართული ოცნების“ და „გახარია-საქართველოსთვის“ მერობის კანდიდატების წარდგენას დაესწრნენ.

„ქართული ოცნება“

სასულიერო პირთა დასწრების შემთხვევების მაჩვენებელი 2021 წლის საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის კანდიდატების წარდგენებზე განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო. 11 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით სასულიერო პირები დაესწრნენ „ქართული ოცნების“ მიერ კანდიდატების წარდგენის ყველა საზეიმო ღონისძიებას სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. წარდგენებზე სასულიერო პირების დასწრების შესახებ ფოტოები ირაკლი ღარიბაშვილისა და საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდებზე ვრცელდებოდა.³²

მმართველმა პარტიამ მერობის კანდიდატების წარდგენა 14 სექტემბერს, ე.წ. კრებსების გასაჯაროების მეორე დღეს დაასრულა. თავდაპირველი მოლოდინის საპირისპიროდ, წარდგენას ტრადიციულად დაესწრნენ სასულიერო პირებიც.



³² დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2021, რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეების მონიტორინგი, შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია: 130სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა.pdf (democracyresearch.org)

„გახარია - საქართველოსთვის“

სასულიერო პირები ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას წინასაარჩევნო ღონისძიებებსაც დაესწრნენ ონში, ღებისა და ამბროლაურში.³³

* * *

სხვა პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო ღონისძიებებზე სასულიერო პირების დასწრების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

7.2 საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერი/საინანაღმდებო განსხვავებები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 15 აგვისტოდან აკვირდებოდა სასულიერო პირების განცხადებებს და აქტიურობას სოციალურ მედიაში. სასულიერო პირების მიერ საარჩევნო სუბიექტებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების, კომენტარების და ქცევის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგის პირველ და მეორე შუალედურ ანგარიშებში.³⁴

პოლიტიკური განცხადებების სერია ერთ-ერთმა პირველმა, ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა წამოიწყო, რომელიც წმინდა სინოდის წევრია. გავრცელებული ინფორმაციით, მან უნდობლობა გამოთქვა პოლიტიკური სპექტრის მიმართ და განაცხადა, რომ თავად დააფუძნებს პოლიტიკურ პარტიას, მას შემდეგ, რაც ეკლესიაში „დაალაგებს“ საქმეებს.

სოციალურ მედიაში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი პოლიტიკური შინაარსის პოსტების გავრცელებით გამოირჩეოდნენ დეკანოზი ელიოზ ჯინჭარაძე, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე,

³³ იქვე


³⁴ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2021, რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგი, პირველი შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.democracyresearch.org/geo/760>; დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2021, რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგი, მეორე შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.democracyresearch.org/geo/770>

ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი, დეკანოზი არჩილ დათეშიძე, არქიმანდრიტი ბართლომე ფირცხალაშვილი და მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი.

არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მედიასივრცეში გავრცელებულმა ინფორმაციამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან სასულიერო პირების ფარული მიყურადების ფაქტზე, წინასაარჩევნო გარემო და სასულიერო პირთა ქცევა შეცვალა - მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და კიდევ უფრო მძაფრი გახადა საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო აგიტაცია. თუმცა, ღვთისმსახურთა შორის დაპირისპირების გამწვავების თვალსაზრისით, ნამდვილი კატალიზატორის როლი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი დღით ადრე მიხეილ სააკაშვილის საქართველოში გამოჩენამ და მისი დაპატიმრება-გათავისუფლების საკითხმა შეასრულა. გარდა ამისა, ამ პროცესმა კიდევ უფრო აშკარა გახადა და გაამყარა აქამდე არსებული მოსაზრებები, რომ ღვთისმსახურები ძალაუფლების შესანარჩუნებლად აქტიურად თანამშრომლობენ პოლიტიკურ სუბიექტებთან. მღვდელმთავრების მხრიდან თვალსაჩინო იყო როგორც მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი განცხადებები, ისე მის საწინააღმდეგოდ წამოწყებული პროპაგანდაც.

მიხეილ სააკაშვილს მხარდაჭერა გამოუცხადეს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა, ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა, შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა, მიტროპოლიტმა ანანიამ და ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა.

მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა, მიტროპოლიტმა სტეფანემ, არქიმანდრიტმა იოვანე მჭედლიშვილმა, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსმა გიორგი ჯამდელიანმა განაცხადეს, რომ არ დაუჭერდნენ მხარს ყოფილი პრეზიდენტის გათავისუფლებას. პატრიარქის ძმისშვილმა, წმინდა სინოდის წევრმა დიმიტრი შიოლაშვილმა ის ღვთისმსახურებიც გაკიცხა, რომლებმაც ყოფილი პრეზიდენტის გათავისუფლების პეტიციას ხელი მოაწერეს. მისი შეფასება „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა აიტაცეს.



წმინდა სინოდის წევრი დიმიტრი
შიოლაშვილი

8. საარჩევნო სუბიექტების მიერ რელიგიური თემატიკის, რელიგიური ორგანიზაციებისა და სასულიერო პირების გამოყენების ფაქტები

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკოსების მხრიდან ეკლესიის ქომაგობა საჯარო გამოსვლებსა და წინასაარჩევნო კამპანიაში ცენტრალურ ადგილს იკავებდა. პოლიტიკური ლიდერების მხრიდან ეკლესიისადმი ერთგულების დემონსტრირების განსაკუთრებული ინტენსივობა სწორედ ის ნიშანია, რომელიც 2021 წლის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდს განასხვავებს უკანასკნელი წლების არჩევნებისგან. სახელმწიფოს ფუნდამენტში ეკლესიის მოაზრება და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების განსაკუთრებული აქცენტი სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთიანობაზე ასეთი აქტუალური არცერთი წინასაარჩევნო კამპანიის დროს არ ყოფილა.

დეტალური ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების მიერ ეკლესიასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების, კომენტარებისა და ქვევის შესახებ მოცემულია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგის პირველ და მეორე შუალედურ ანგარიშებში.³⁵

ვის უფრო მეტი „ღვაწლი“ მიუძღვის ქართული ეკლესიის წინაშე?

ქართული ოცნების პერსპექტივა

28 ოქტომბერს, არჩევნების მეორე ტურამდე 2 დღით ადრე, „იმედი Live“-ის ეთერში გასულ სიუჟეტში³⁶ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წინასაარჩევნოდ ეკლესიის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებზე ილაპარაკა და ნიკა გვარამია ეკლესიის წინააღმდეგ პოლიტიკური კამპანიის გაჩაღებაში დაადანაშაულა.

„ახლა ჩვენ ვუყურებთ გვარამიას აღვირახსნილ კამპანიას, ბინძურ პროპაგანდას ეკლესიის, მეუფე შიოს და სხვა მეუფეების წინააღმდეგ, ეს ხომ არის პირდაპირი მტრობა, ანტისახელ-

³⁵ DRI, 2021, რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგი, პირველი შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.democracyresearch.org/geo/760>; დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2021, რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგი, მეორე შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.democracyresearch.org/geo/770>.

³⁶ ირაკლი ღარიბაშვილი გადაცემაში „იმედი LIVE“, 29.10.2021, ხელმისაწვდომია ონლაინ <https://www.facebook.com/watch/?v=223485939872726>

მწიფობრივი, ანტიეკლესიური საქმიანობა. რაც მათ პატრიარქის წინააღმდეგ ჩაიდინეს . . . ამ დროს გამოდის სააკაშვილი და სცადა, თავი წარმოეჩინა, თითქოს ძალიან დიდი დამცველია ეკლესიის, პატრიარქის და ა.შ. ამაშიც ხომ ჩანს მისი მზაკვრული, ბოროტი სახე...”

პრემიერ-მინისტრმა მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას შეაფასა: *„გამოდის კაცი, რომელიც პირდაპირ ებრძოდა ეკლესიებს, მაშინ, როდესაც ჩვენი პარტიის დამფუძნებელი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ეკლესიებს და მონასტრებს აღადგენდა და 800-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი აქვს აღდგენილი და უამრავი ეკლესია აშენებული. ეს არის სხვაობა, შედარება რომ გავაკეთოთ კიდევ ერთხელ.“³⁷*

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პერსპექტივა

განსხვავებულად ხედავს მოვლენებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი ლიდერი. 28 ოქტომბერს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, გიორგი ჩალაძემ სოციალურ მედიაში ვრცელი პოსტი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში აშენდა 100-ზე მეტი ახალი ეკლესია და რესტავრაცია ჩატარდა 600-ზე მეტ ეკლესიას, ხოლო მისი დამსახურება მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე ილია მეორის მიერ არის აღიარებული. პოსტს ერთვის ვიდეოკოლაჟი, სადაც სასულიერო პირები მადლობას უხდებიან ყოფილ პრეზიდენტს.

“მის უწმინდესობას - ილია მეორეს არაერთხელ აღუნიშნავს მიხეილ სააკაშვილის ღვაწლი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე!

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში:

- რესტავრაცია ჩატარდა 600-ზე მეტ ეკლესიას, ხოლო აშენდა 100-ზე მეტი ახალი ეკლესია.
- მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით ასევე რესტავრაცია ჩატარდა ბაგრატის ტაძარს, ქუთაისში.
- ფოთის ყოფილი თეატრის შენობა გადაეცა ეკლესიას და აღდგა იქ ტაძარი - ხოლო, თეატრს აუშენდა ახალი შენობა.
- მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით დაფინანსდა საქართველოს საპატრიარქოს საგანმანათლებლო ცენტრის, უნივერსიტეტის მშენებლობა მაღალმთიან აჭარაში, რამაც მაღალმთიან მხარეში განათლების დონის ამაღლებას შეუწყო ხელი.
- მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოს საპატრიარქოს დაენიშნა ყოველწლიური კომპენსაცია 25 მილიონი ლარის ოდენობით, წარსულში მიყენებულ

³⁷ იქვე

ზიანის ანაზღაურების მიზნით. ამას გარდა, ფინანსდებოდა საქართველოს საპატრიარქოს მიერ ინიცირებული პროექტები.³⁸

„ქართული ოცნება“

2021 წლის 27 ოქტომბერს, სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ მრავალრიცხოვან აქციას მიმართეს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებმა. ირაკლი ღარიბაშვილმა, ირაკლი კობახიძემ, თეა წულუკიანმა და კახი კალაძემ თავის გამოსვლებში განსაკუთრებულ აქცენტი გააკეთეს ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობის იდეაზე.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შეკრებილებისადმი მიმართვისას განაცხადა: „არავის ვაპატიებთ ჩვენი პატრიარქის, სასულიერო პირებისა და ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტის - მართლმადიდებელი ეკლესიის ლანძვას და შეურაცხყოფას.“ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საპატრიარქოს და პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლაში დასდო ბრალი ვიცე-პრემიერმა თეა წულუკიანმა: „ჩვენი ხელისუფლების ვალია, რომ ხელისუფლება გადააბაროს არა ლეგიტიმურებს, არა ქართველთ მოძულებს, არა იმათ, ვინც ბნელი წარსულის მოციქულები არიან და ახლა საკნებიდან იჭყიტებიან, არა იმათ, ვინც ებრძვის ილია მეორეს, არა იმათ, ვინც ებრძვის ხატს და ჯვარს.“³⁹

ეკლესია-მონასტრების მოლოცვა

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის დღიდან მმართველი პარტიის წევრებმა წინასაარჩევნოდ არაერთი ეკლესია-მონასტერი „მოილოცეს“. არჩევნების დანიშვნის დღიდან, ირაკლი ღარიბაშვილმა თანაპარტიელებთან ერთად ძირითადად ის ეკლესია-მონასტრები მოინახულა, რომელთა მშენებლობა-რეაბილიტაცია ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა. მედიასივრცეში ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ეკლესია-მონასტრების მონახულების 10 შემთხვევა გაშუქდა.⁴⁰ თითქმის ყველა შემთხვევაში ხაზგასმით აღინიშნა ბიძინა ივანიშვილისა და ფონდი „ქართუს“ განსაკუთრებული როლი ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაციის საქმეში.

³⁸ გიორგი ჩალაძის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, 28.10.21, <https://fb.watch/9VDpgdly--/> ბოლოს ნანახია 15.12.21

³⁹ DRI, რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგი, მეორე შუალედური ანგარიში, გვ. 2, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.democracyresearch.org/geo/770>

⁴⁰ DRI, 2021, რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგი, შუალედური ანგარიში, გვერდი: 10-13, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.democracyresearch.org/geo/760>

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

მართლმადიდებელი ეკლესიისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩვენება მანიპულაციის ერთ-ერთი ხერხი და, ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილის მოსაზრებით, ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვების „საუკეთესო“ საშუალებაა. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს მიხეილ სააკაშვილის მცდელობა, ერთგულება დაემტკიცებინა პატრიარქისთვის.

2021 წლის 20 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილმა თავისი ოფიციალური ფეისბუქგვერდის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია, რომლითაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართ მხარდაჭერა და პიროვნული პატივისცემა გამოხატა. მან, ასევე, განაცხადა, რომ იყო და არის წმინდა სინოდის ძირითადი პოზიციების მიმდევარი. „კომუნისტების დროიდან, 1979 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩემს მასწავლებელ მარა ჭავჭავაძესთან ერთად, ჯერ კიდევ ბავშვი, დავესწარი უწმინდესის წირვას, ვრჩები მის სულიერ შვილად და მხარს ვუჭერ ყველა მის პოზიციას ძირითად საეკლესიო საკითხებზე.“⁴¹

ყოფილ პრეზიდენტთან ერთად, ამგვარ მანიპულაციებს მიმართავდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერებიც, მათ შორის, ნიკა მელია და ლევან ხაბეიშვილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნიკა მელიას აქტიურობა ამ მიმართულებით ნაკლებად შესამჩნევი გახდა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, როდესაც საპატრიარქოსთან ურთიერთობების „დატკობის“ სტრატეგია მიხეილ სააკაშვილმა გადაიბარა. არჩევნების პირველ ტურამდე, ფარული ჩანაწერების გავრცელების მეორე დღეს, 14 სექტემბერს, ნიკა მელიამ გამართა ბრიფინგი, სადაც განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილს ყოველთვის განსაკუთრებით აგრესიული დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, რომელიც „წლების განმავლობაში ყველაზე სანდო ინსტიტუცია იყო ქვეყანაში და ყველაზე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა“.

კვლევის ერთ-ერთი მიგნება იყო ფოთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატის, გიგი უგულავას შეცვლილი რიტორიკა პატრიარქის მიმართ. 5 ივლისის ძალადობასთან დაკავშირებით, გიგი უგულავა სრულ პასუხისმგებლობას ბიძინა ივანიშვილთან ერთად ილია მეორეს აკისრებდა,⁴² წინასაარჩევნო პერიოდში კი უგულავამ რიტორიკა შეცვალა. პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საუბრისას მან

⁴¹ მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ფეისბუქგვერდი, 20.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/SaakashviliMikheil/posts/413811506781119>

⁴² „TV პირველი“, „პასუხისმგებელი არის ივანიშვილი და ილია მეორე - უგულავა (ვიდეო)“ 06.07.2021, ხელმისაწვდომია https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/6449-pasukhismgebeli-aris-ivanishvili-da-ilia-meoreugulava-video?fbclid=IwAR1xb3V_K8PI5cr8lQ2sJtCuOHqI8YoC_EPcgxJPfm5el4pYhPhbOcy2lk

გამოთქვა შიში, თუ როგორ შეიძლება მოექცეს ეკლესია რუსეთის მმართველობის ქვეშ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პატრიარქი ილია მეორე აღარ იქნება.

„აი, ამ ვითარებაში, მართლა გულწრფელად ვუსურვებ პატრიარქს ჯანმრთელობას, რადგან მის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული ეკლესიის თავისუფლება დღეს . . . საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, რომელსაც გეზი აქვს დასავლეთისკენ, თავისუფლებისკენ, დემოკრატიისკენ, დასავლური უსაფრთხოების სისტემისკენ და კეთილდღეობისკენ და ამ არქიტექტურაში ეწერება ზუსტად ეკლესია.“⁴³



„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

„პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო მოწოდებები ტრადიციულად უკავშირდებოდა ეკლესიისა და სასულიერო პირთა მხარდაჭერას. არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე გავრცელებულ ფარული მიყურადების ფაილებს „პატრიოტთა ალიანსი“ სახელისუფლებო პარტიის და არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკით გამოეხმაურა. ამავდროულად,

⁴³ Tabula.ge, „გიგი უგულავა - პატრიარქის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული, რომ რუსეთის მარწუხებში არ მოექცეს ეკლესია“, 19.10.2021, ხელმისაწვდომია <https://tabula.ge/ge/news/674737-ugulava-patriarkis-janmrtelobazea-damokidebuli?redir>

პარტიის ლიდერებმა მედიაკავშირი „ობიექტივისა“ და სოციალური ქსელების საშუალებით მხარდაჭერა გამოუცხადა ეკლესიასა და სასულიერო პირებს.

„ლელო საქართველოსთვის“

წინასაარჩევნოდ, „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა, ბადრი ჯაფარიძემ გამოაქვეყნა წინასაარჩევნო კამპანიისთვის განკუთვნილი ვიდეორგოლი, რომელიც ძველი აღქმის სიტყვებით და მცხეთისა და ჯვრის მონასტრის ხედებით იწყებოდა.

„ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ ღვთისმსახურებს მხარდაჭერა გამოუცხადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან სასულიერო პირების სავარაუდოდ უკანონო მიყურადების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ. ერთ-ერთ გავრცელებულ ფაილში მეუფე თეოდორესთან თავად მამუკა ხაზარაძის საუბარი ფიგურირებდა. ხაზარაძემ საუბრის ავთენტიკურობა დაადასტურა.

9. დასკვნა

წინასაარჩევნო კამპანიაში მღვდელმსახურთა აქტიური მონაწილეობა, მმართველი პარტიის საარჩევნო ღონისძიებებზე დასწრება და კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების მხარდასაჭერი/საწინააღმდეგო განცხადებები არც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ყოფილა უცხო. მონიტორინგმა აჩვენა, რომ პოლიტიკური სუბიექტები წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, სასულიერო პირების მხარდაჭერით და რელიგიური თემებით მანიპულირებენ. ეკლესიის ავტორიტეტს ამოფარებული მღვდელმსახურები და პოლიტიკური სუბიექტები ერთმანეთით „საზრდოობენ“. სასულიერო პირების ქცევას, სავარაუდოდ, მათი „ეკონომიკური ინტერესი“ განაპირობებს. პოლიტიკურ პარტიებს კი ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობა და ერთგულების დემონსტრირება ამომრჩეველთა მისამხრობად სჭირდებათ.

წლების განმავლობაში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკაზე 2021 წლის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე გასაჯაროებულმა ფარულმა ჩანაწერებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა, რაც, ძირითადად, გამოიხატა სასულიერო პირთა უფრო მეტად გააქტიურებაში. მღვდელმსახურები უფრო ღიად და ნათლად გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას როგორც პოლიტიკურ პროცესების, ისე საარჩევნო სუბიექტების მიმართ და, ამასთან, მათი რიტორიკა, ზოგიერთ შემთხვევაში მუქარის შემცველიც იყო, თუმცა, არა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს საპატრიარქოს „სუს-ის ფაილბთან“ დაკავშირებით „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ღიად არ გაუკრიტიკებია. თავდასხმის ობიექტები გახდნენ არა უშუალოდ თვალთვალის განმახორციელებლები, არამედ „ფაილების გამავრცელებლები“, მათ შორის, კრიტიკული მედია და მათი მესაკუთრეები.

ე.წ. კრებსებით გამოწვეული ეფექტის სათავისოდ გამოყენება სცადეს ძირითადად პოლიტიკურმა მოთამაშებებმა. პოლიტიკოსები გააქტიურდნენ ეკლესიის მიმართ ერთგულების დემონსტრირების მცდელობაში და უკანონო ფარული ჩანაწერების მოპოვებაში ოპონენტების დადანაშაულებით, რელიგიური ორგანიზაციების მიმხრობას შეეცადნენ. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მხრიდან პატრიარქისა და ეკლესიისადმი ერთგულების დასამტკიცებლად გაკეთებულმა განცხადებებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკური ლიდერების მხრიდან ეკლესიისადმი ერთგულების განსაკუთრებული დემონსტრირება 2021 წლის არჩევნებს წინა არჩევნებისგან მკვეთრად განასხვავებს. ეს ხაზი წინასაარჩევნო რიტორიკაში ე.წ. კრებსების გასაჯაროების შემდეგ გაჩნდა. ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობის იდეის დემონსტრირება იყო „ქართული ოცნების“ მცდელობა, გაენეიტრალებინა ის უარყოფითი სავარაუდო შედეგები, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან სასულიერო პირების უკანონო მიყურადებასა და თვალთვალს უნდა მოჰყოლოდა. მასალების გასაჯაროებიდან სარგებლის მიღებას შეეცადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფაზე აპელირებით და ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მხრიდან ეკლესიის მიმართ „მტრული“ დამოკიდებულების ხაზგასმით.

იმისდა მიუხედავად, თუ რა პოლიტიკური კონტექსტი ჰქონდა მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობის შესახებ, რიტორიკის სულისკვეთება ეწინააღმდეგება ეკლესიის, როგორც რელიგიური ორგანიზაციის, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის იდეას და უარყოფს სეკულარიზმის პრინციპს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარდამტეხ მოვლენას წარმოადგენდა ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება და მისი დაპატიმრება, რამაც სასულიერო პირთა კიდევ უფრო მეტად გააქტიურება გამოიწვია. განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე მათი მხრიდან ღიად და დაუფარავად ლაპარაკმა ღვთისმსახურთა შორის დაპირისპირება გაამწვავა. საბოლოო ჯამში, სასულიერო პირები საყოველთაო შერიგების იდეაზე ვერ შეთანხმდნენ.

10. რეკომენდაციები

წინასაარჩევნო პროცესებზე დაკვირვების და ანალიზის შედეგად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით, პოლიტიკური პროცესების გაჯანსაღებისთვის მიზანშეწონილია:

- პოლიტიკურმა სუბიექტებმა თავი შეიკავონ ეკლესიითა და რელიგიური თემატიკით მანიპულირებისგან;
- სასულიერო პირები განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ წინასაარჩევნო პროცესში პოლიტიკური განცხადებებს; როგორც წესი, მათ განცხადებებს მრევლი ეკლესიის ოფიციალურ პოზიციად აღიქვამს;
- სასულიერო პირებმა თავი შეიკავონ საარჩევნო ღონისძიებებზე დასწრებისა და კონკრეტული პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი/საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთებისაგან;
- საქართველოს საპატრიარქომ უზრუნველყოს სინოდის განჩინების აღსრულებაზე კონტროლი, რომელიც სასულიერო პირებს პოლიტიკურ პროცესებსა და წინასაარჩევნო კამპანიაში ჩარევას უკრძალავს;
- გადაიხედოს სახელმწიფო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან საპატრიარქოს დაფინანსების საკითხი.